პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 23 თებერვალი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

41 (1036)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელმინე 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## დღეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის 8 წლის თავია.

### 8 წელი—წითელი არმიის მედგარი ბრძოლის, უამრავი მტრების განადგურების, შეუსვენებელი მუშაობის, წინსვლისა და განმტკიცება-გამაგრების ხანა.

**გაუმარჯოს წითელ არმიასა და მის მომავალ აღმშენებლობას!**

**გაუმარჯოს მის შემქნელ კომუნისტ. პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას!**

**გაუმარჯოს კომუნიზმს!**

## წითელი არმიის რვა წლის თავის გამო.

რვა წელიწადია, რაც არსებობს ჩვენი დიადი მუშურ-გლეხური წითელი არმია. რა მცირე დროა, მაგრამ რამდენია გაკეთებული!

მაგონდება მძიმე და საშინელი წლები, დრო უცხოეთის ინტერვენციისა და სასტიკი შინაური სამოქალაქო ომის, როცა მშიერი და ფეხშიშველი წითელ არმიელები, ოქტომბრის დიდი რევოლიუციის მონაპოვართა დაცვის დროს, ჭეშმარიტად გმირობისა და თავდადების სასწაულებს ახდენდენ. ყველა ეს სიძნელენი, ყველა ეს ტანჯვა და წამება უკვე წარსულს ჩაბარდა.

მაგრამ, როცა იგონებ დღეს ყოველივე ამას, განცვიფრებაში მოდიხარ და უნებლიედ ეკითხები თავს: საიდან წარმოიშვა და რით აიხსნება მთელს ისტორიაში ასეთი უმაგალითო თავდადება, ერთგულება და გამბედაობა, როგორც მთელი წითელი არმიის, ისე მისი ცალკე ნაწილებისა და წარმომადგენლების?

საიდანაა ეს სიმტკიცე, ეს შეუდრეკლობა მუშებისა და გლეხების ინტერესთა დაცვის საქმეში, საიდანაა ეს ძლიერი სული, ეს ენტუზიაზმი, რომელიც აფრთოვანებს ყველასა და მიჰყავს ცეცხლსა და წყალში? და, ბოლოს, რით აიხსნება ის, რომ საშინელ სიღარიბეში, შიმშილსა და სიცივეში, უამუნიციოდ, უსაჭურვლოდ, ჩვენმა წითელმა არმიამ, რომელიც ჯერ კიდევ ახალი შემდგარი იყო და რომელსაც არ ჰყავდა თავისი შემადგენლობაში გამოცდილი ხელმძღვანელები და სარდლები,—ბრწყინვალედ იმარჯვებდა მტრების არმიებზე, რომლებიც საუცხოვოდ მომარაგებული იყვენ ყოველ მხრივ და რომლებსაც სათავეში უდგენ სამხედრო ხელოვნების საუკეთესო სპეციალისტები? თუ რომ ჩვენ ვიტყვით, რომ წითელი არმია დიდი სამოქალაქო ომიდან გამოვიდა გამარჯვებული ასეთ უთანასწორო პირობებში მხოლოდ იმიტომ, რომ ის იცავდა მართალ საქმეს, ცხადია, ასეთი პასუხი არ იქნება საკმარისი.

ნამდვილი, ჭეშმარიტი მიზეზი იმის, თუ რატომ პირველი წითელი არმია მთელს ქვეყნიერებაზე 1918-20 წლებში ამარცხებდა და საბოლოოდ გაიმარჯვა მან შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლიუციაზე,—ამის ნამდვილი მიზეზი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ წითელ არმიასთან ერთად, მის გვერდით, იბრძოდენ პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა და არამც თუ მხოლოდ იბრძოდენ, არამედ რაც თავი და თავია, ისინი შთააგონებდენ და ამხნევებდენ მას მაშინაც კი, როცა გეგონებოდა, რომ ეს-ეს არის ყველაფერი წაგებულიაო. ხოლო ამ უკანასკნელ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაფერი.

საქმე ისაა, რომ ჩვენს წითელ არმიას ჰყავდა ისეთი იდეური ხელმძღვანელი, სულის ჩამდგმელი და მასთან ისეთი ორგანიზატორი, როგორიც არც ერთ არმიას მთელს ქვეყნიერებაზე არას დროს არ ჰყოლია და არც ჰყავს. ყველამ იცის, რომ წითელი არმიის ეს ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო ლენინი. აი საიდან ენერგზოდა ჩვენს წითელ არმიას, პროლეტარიატსა და ყველა ჩვენგანს კონტრ-რევოლიუციის ძალებზე გამარჯვების წყურვილი. ეს უნდა გვახსოვდეს და ანგარიში უნდა უწევდეთ მას.

ოქტომბრის რევოლიუციამ წითელი არმიის დახმარებით გაიმარჯვა ჯერ მხოლოდ ერთ ქვეყანაში. წინაა ბრძოლები მსოფლიოს უმთავრეს ქვეყნებში. წინაა მძიმე გამოცდები. ოქტომბრის რევოლიუციის ერთადერთ ქვეყანას ყოველ მხრივ ემუქრებიან. მაგრამ ჩვენ ვიცით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ წითელი არმია,—საბჭოთა ძალა-უფლების მტკიცე დასაყრდენობი, შეუდრეკელი იქნება მუშურ-გლეხური ქვეყნის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

წითელი არმიის მეცხრე წლის მიჯნაზე, გვაგონდება რა ბრწყინვალე გმირობა წითელი არმიისა და ბრძოლის ველებზე ათი და ასიათასობით დაღუპულ უსახელო გმირების, ჩვენ ვამბობთ:

საუკუნო ხსოვნა წითელი არმიის ყველა დაღუპულ მეომრებს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენობს —დიად წითელ არმიას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ფ. მახარაძე.



ამხ. ვოროშილოვი

ს. ს. რ. კავშირის სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარი და რევ. სამხ. საბჭოს თავმჯდომარე.

## საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს ბრძანება № 105.

წითელი არმიის რვა წლის თავის გამო რევსამხსაბჭოს თავმჯდომარისა და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვოროშილოვის ხელმოწერილ ბრძანებაში ნათქვამია.

მძიმე პირობებში, უამრავ ფრონტებზე მრისხანე და მკაცრი ბრძოლების გამოცდილებებზე იზრდებოდა, მტკიცდებოდა და იბრძმედებოდა მუშებისა და გლეხების არმია. თავის არსებობის მე-9 წლის მიჯნაზე, მიუხედავად მისი რიცხვობრივად დიდი შემცირებისა, წითელი არმია წარმოადგენს ძლიერ ძალას, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ ჩვენმა მტრებმა და რომელსაც იმედითა და სასოებით უყურებენ ყველა ქვეყნის მშრომელები. ჩვენ შეიარაღებულ ძალთა შემდეგი გაძლიერება სწარმოებს გეგმიანად იმ რეორგანიზაციის საფუძველზე, რომელიც დასახული იყო 1924—25 წლებში რევსამხსაბჭოს მიერ, უდროოდ გარდაცვალებულ, წითელი არმიის ბელად ამხ. ფრუნზეს უშუალო ხელმძღვანელობით.

შემდეგ ბრძანებაში ნათქვამია:

—წითელი არმია და წითელი ფლოტი გაძლიერდა მატერიალურად (ნივთიერად). წავიდა გაჭირვებათა და ნაკლულოვანებათა სასტიკი წლები. წითელ არმიელთა, სამხედრო მეზღვაურთა და უფშემადგენლობის ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მთელი არმია მთლიანად გაერთიანებულია სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნათა შემდეგი გაუმჯობესების სურვილით. ის ცდილობს გააძლიეროს თავის რიგები, რათა უძლეველ ფარივით იდგეს საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე, რათა უზრუნველყოს მუშურ-გლეხური ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობა.

მუშებისა და გლეხების სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი—წითელი არმია, თავის სახელოვან არსებობის მერვე წლის თავზე იგონებს რა იმპერიალიზმის, ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულებს, უძღვნის თავის მხურვალე სალამს ყველა ქვეყნის პროლეტარიატსა და გლეხობას, ყველა დაჩაგრულ ერებს, გამოღვიძებულ აღმოსავლეთს, კაპიტალის ტყვეებს, ყველა მშრომელთა გათავისუფლებისთვის მებრძოლთ.

საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურმა მთავრობამ არა ერთხელ განაცხადა, რომ ის გულწრფელად ილტვის მშვიდობიანობისაკენ და აწარმოებს მშვიდობიანობის პოლიტიკას.

ქვეყნიერებაზე პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მშრომელებთან ერთად წითელი არმია გამსჭვალულია მშვიდობიანობისადმი ლტოლვის სურვილით, მაგრამ თვითეულ წითელ არმიელს, მეთაურსა და პოლიტმომუშავეს ნათლად ესმის, რომ საბჭოთა კავშირის უზრუნველყოფის საუკეთესო და ერთად ერთი გარანტია (თავდები)—ეს არის წითელი არმიის საბრძოლო ძლიერების ამაღლება.

მსოფლიო იმპერიალიზმი განაგრძობს „განიარაღებას“. განიარაღებისა და მშვიდობიანობის ნიღაბ ქვეშ ბურჟუაზიული სახელმწიფოები ნამდვილად კი აწარმოებენ სამხედრო ბიუჯეტების გადიდებისა და ფარულ შეიარაღებულ ძალთა გაფართოების პოლიტიკას. იმპერიალისტურ ქვეყნების შეიარაღების გაუგონარი ზრდა ხმელეთსა და ზღვაზე, განადგურების ახალ საშუალებათა განვითარება (ავიაცია, ტანკები, ქიმია, ავტომატიური (თვითმომქმედი) იარაღები და სხვა),—ყველაფერი ეს აიძულებს საბჭოთა კავშირის მშრომელებს, რომლებმაც არა სიტყვით, არამედ საქმით შეამცირა თავისი შეიარაღება, მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება თავდაცვის საკითხებს, რომლებიც ესოდენ გართულდა ამ ბოლო დროს.

თავდაცვის საკითხი არ შეუძლია გადასჭრას მარტო სამხედრო უწყებამ, თუ რომ მას უშუალოდ არ დაეხმარება მშრომელთა მთელი ქვეყანა. საკითხები ჩვენი ქვეყნის სამხედრო მრეწველობის აღდგენის, საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მთელი ჩვენი თავდაცვის მომზადებასთან და საკითხები ჩვენი არმიის ტეხნიკური ძალების გაძლიერებისა განსაკუთრებით, ქიმიის, საჰაერო და საზღვაო ფლოტის,—აი არსებითი საკითხები უახლოესი დროისთვის.

ულოცავს რა წითელ არმიელებს, სამხედრო კომისრებს, მეთაურებსა და პოლიტ-მომუშავეებს წითელი არმიის მე-8 წლის თავს, რევსამხსაბჭო გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ წითელი არმია აასრულებს მის წინაშე მდგარ ამოცანებს და რომ წითელი მეომრები იდგომებიან როგორც პიტალო კლდე საბჭოთა კავშირის საზღვრებზე.

---

**პირველად მთელს ქვეყნიერებაზე შექმნილი არმია, რომელმაც იცის რისთვის იბრძვის, და პირველად მსოფლიოზე მუშებმა და გლეხებმა, რომლებიც უამრავ მსხვერპლს იღებენ, ნათლად იციან, რომ ისინი იცავენ საბჭოთა სოც. რესპუბლიკას—მშრომელთა ძალა-უფლებას კაპიტალისტებისაგან, იცავენ მსოფლიო პროლეტარულ სოციალ. რესპუბლიკას.**

**ლენინი.**

## ამხ. ლევანდოვსკის სურვილი წითელი არმიის 8 წლის თავზე

**მე უსურვებ წითელ არმიას, რათა ყოველი ახალი წელი აათკეცებდეს მის წარმატებებს სამხედრო სწავლაში, ყოფა-ცხოვრებასა და საბრძოლო ძლიერებაში.**

**მ. ლევანდოვსკი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხ. მ. ფრუნზე.
1885—1925 წელი.

წითელი არმიის მერვე წლის თავზე ყოველ წითელ არმიელს, მეთაურს და პოლიტ-მომუშავეს არ შეუძლიათ არ გაიხსენონ სახელოვანი წითელი არმიის უდროვოდ დაკარგული ბელადი—**მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზე**, რომლის ხელმძღვანელობით წითელ არმიამ მიაღწია ძლევამოსილებასა და არსებულ ბრძოლის უნარიანობის ამაღლებამდე. ამასთანავე ერთად ამხ. მ. ფრუნზეს ნიჭსა და ენერგიას მიეწერება ჩვენი ჯარის მომავალი აღმშენებლობის ორგანიზაცია—ტერ-სისტემაზე გადასვლა. წითელი არმია ერთი წუთითაც არ დაივიწყებს თავის ბელადს და საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს მის დაწყებულ საქმეს.

# წითელი არმიის სახელოვან გამარჯვებათა რვა წლიანი გზა.

8 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რომ საბჭოთა ქვეყანამ, რომელიც გარშემორტყმული იყო ოქტომბრის მიერ განწირულ შავი ყორნებით და სისხლით იწრიტებოდა, გამოუშვა მოწოდება ოქტომბრის მონაპოვართა, ღარიბ და პროლეტარულ მასების ინტერესთა დასაცავად.

გაერთიანდა რა მჭიდრო ფოლადისებურ კავშირში წითელი ვარსკვლავის დროშის ქვეშ, მუშურ-გლეხური მასები, ლენინის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ეკვეთენ გააფთრებული ბრძოლით საერთაშორისო იმპერიალიზმის სხვა და სხვა დაქირავებულებს.

ელვისებური სისწრაფით იქნა წამოჩოქებული მუშათა და გლეხთა დიქტატურის წინაშე კერენსკის, დენიკინის, ვრანგელის, კოლჩაკისა და სხვათა ჯარები.

განდევნა რა ძლიერი დაკვრით თავისი მტრები, რუსეთის პროლეტარიატმა ღმართა შრომის წითელი დროშა საბჭოთა კავშირის უსაზღვრო ტერიტორიაზე და გადაისროლა ლოზუნგი ყველა ქვეყნის მშრომელთა მიმართ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“.

მუშამა და ღარიბ გლეხმა შეიგნეს თავიანთი ძლიერი ძალა, თავიანთი ღრმა უნარი პროლეტარული კლასობრივი არმიის აღმშენებლობის საქმეში, რომელიც (არმია) გაუმკლავდებოდა თეთრგვარდიელთა, ვილგელმისა და ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულ სხვა არმიებს.

საუკეთესო შვილების, ძმებისა და ამხანაგების სიცოცხლის უმსხვერპლოდ შეწირვით ჩვენ მივაღწიეთ შესვენებას და შესვენებათა მთელ პერიოდსაც კი.

ამ მომენტით ისარგებლა წითელმა არმიამ. მან ანგარიში გაუწია შექმნილ საერთაშორისო გარემოებას, შეაფასა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა და დღეს მიდის წინ თავისი ძალების, შემჭიდროებისა და დისციპლინის განმტკიცების გზით, და ახსოვს ერთი რამ: რომ არა მარტო ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკა წარმოადგენს მშვიდობიანობის გარანტიას, არამედ ისიც, თუ რომ ჩვენ გვეყოლება ბრძოლის უნარიანი, კარგი დისციპლინიანი არმია.

ძლიერი ღონისძიებით, პროლეტარული მოთმინებით და რევოლიუციონური შეუდრეკლობით ის იმორჩილებს თავდაცვის მეცნიერებას და იმარჯვებს.

მუშების და გლეხების არმიამ იცის, რომ უკანასკნელ დროს მსოფლიო ბურჟუაზიის მიერ წამოსროლილი განიარაღების ლოზუნგები ნიშნავს უფრო ძლიერი იარაღის გამოჩენას, ვიდრე წინად იყო.

მათი განიარაღების ლოზუნგი ნიშნავს მათ არმიებზე ხარჯების გადიდებას, უზარმაზარ საჰაერო ესკადრილიების შექმნას, გამოგონებას განმანადგურებელ აირებისა, რომლებიც წარმოშობენ ბრძოლის ველზე ათასობით შეშლილებს, სნეულებსა და სხვა.

ყოველგვარ ამას ჩვენ ვხედავთ, თვალს ვადევნებთ ჩვენი პროლეტარული ყურადღებით, ანგარიშს ვუწევთ მას ქვეყნის თავდაცვისა და აგრეთვე ყოველდღიურ მეცადინეობაში.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნის ზრდა, ჩვენი რევოლიუციური არმიის ღონისძიებანი



ამხ. ლევანდოვსკი.

უმზადებს უფრო და უფრო დიდ საფრთხეს საერთაშორისო ბურჟუაზიას.

უკანასკნელი ემზადება სასტიკი ბრძოლისთვის, სცდილობს მოაწყოს მსოფლიო ფრონტი სწრაფი ნაბიჯით მოზარდი მსოფლიო წითელი ფრონტის წინააღმდეგ, თავით ფეხებამდის იარაღდება, ჰქმნის სამხედრო კავშირების მთელ რიგს, სდებს სამხედრო ხელშეკრულებებს, რომლებიც მიმართულია მხოლოდ მუშათა კლასის წინააღმდეგ.

მომავალ ომებს უსასტიკეს შეტაკებათა ხასიათი ექნება; მომავალი ომები დიდი ძალების დაჭიმვას მოითხოვენ მთელი ქვეყნების მოსახლეობისაგან.

ჩვენ გვექნება საბრძოლო ფრონტები დაწყობული შეია-



ამხ. ორჯონიკიძე.

რაღებულ ძალებთან შეხების ხაზიდან—შორს ზურგში, თვით გლეხის კარმიდამომდის.

ეს გარემოება მოითხოვს ყველასაგან ბრძოლაში მონაწილეობას. ქვეყნის მთელი მოსახლეობა იძულებული იქნება იბრძოლოს თავდაცვისთვის. აქედან ჩვენი ამოცანები—ვასწავლოთ მშრომელებს იარაღის ხმარება, ახალი ტეხნიკა, ვასწავლოთ მათ თუნდაც სამხედრო საქმის ძირითადი ხერხი, გავასამხედროვოთ ის, ე. ი. შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რათა საჭირო დროს, ჩვენი ქვეყნის უზარმაზარი ტერიტორიის ყოველ უბანში, საბჭოთა მთავრობას საშუალება ჰქონდეს გამოიყენოს მრავალმილიონიანი შეიარაღებული და სამხედრო საქმეში გაწვრთნილი პროლეტარული მასები.

გარდა ამისა უნდა დაუკავშიროთ ჩვენი ეკონომიკის, სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის ხასიათი თავდაცვის საჭიროებებს.

წითელმა არმიამ, რომელიც მშვიდობიან დროს წარმოადგენს მომავალ მრავალმილიონიანი მასების კადრთა სკოლას, თვით უნდა შეისწავლოს ბრძოლის მთელი ტეხნიკა, თავდაცვის ახალი საშუალებანი, შეიტანოს ეს ცოდნა წითელარმიელთა მასების სიღრმეში, რათა საჭირო დროს მზად



ამხ. რატნეკი.

იყოს გასცეს სათანადო პასუხი საერთაშორისო ბურჟუაზიას, თუ რომ ის წამოიღებს ჩვენკენ თავის მტაცებლურ ხელებს.

არმიისა და მოსახლეობის სამხედრო მომზადება, მათი აღზრდა პროლეტარულ დიქტატურის ბრძმედში, ავიაციის, ქიმიის, რადიო-ტეხნიკისა და ელექტროფიკაციის გაძლიერება,—აი ჩვენი პროლეტარული თავდაცვის ძალის საფუძველი.

ჩვენ დღითი-დღე ვძლიერდებით; ამასთან დაკავშირებით ძლიერდება ყველა ქვეყნების პროლეტარული მასების რწმენა წითელი არმიისადმი.

ყოველი წელი გვაძლევს ჩვენ მეგობრებს შორეულ კოლონიებში, ნახევრად კოლონიებში და დღეს ჩვენ გვყავს ეს მეგობრები გაცილებით მეტი, ვინემ ჩვენ ვიცით.

მძიმე ბრძოლების წუთებში ჩვენ წარმატებებზე დამოკიდებული იქნება დიადი ოქტომბრის შემდეგი ბედ-იღბალი და პასუხისმგებლობის სრული შეგნებითა და ამოცანების სერიოზულობით, რომლებიც სდგას წითელი არმიის, ქვეყნისა და პარტიის წინაშე, ჩვენ ჩვენთვის ამ დიად დღეს ვიტყვით: „შევკაზმეთ რა სამხედრო მეცნიერება და შევჯექით რა სამხედრო ცოდნის ცხენზე, ჩვენ არ მივსცემთ მას უკანდახევის უფლებას, არამედ ყოველ დღე, ყოველ საათში ჩვენ დაჟინებით წავიყვანთ მას წინ“.

ამ საზეიმო დღეს ჩვენ ვეუბნებით მთელი ქვეყნის პროლეტარებს, რომ მთლიანი, ლენინური საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით, მუშურ-გლეხური წითელი არმია, თავის ფოლადისებური მკერდით და ურყევი რწმენით თავის ძალაში, უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობას.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკების)!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატსა და მის შტაბს—კომინტერნს!

მ. ლევანდოვსკი.

**წითელი არმია—ჩვენი ცოცხალი და შეიარაღებული საბჭოთა კონსტიტუცია,—ეს არის პროლეტარიატის დიქტატურის სამხედრო გამოხატულება.**

ლ. ტროცკი.

# კომუნისტური პარტია და წითელი არმია.

ოქტომბრის გადატრიალების პერიოდში ძველი ჯარის შემადგენლობა იმყოფებოდა დაშლის პროცესში, რაც გამოწვეული იყო უმიზნო იმპერიალისტურ ომის ხანგრძლივობით და მასთან მაშინდელ დროებითი მთავრობის ტაქტიკით. მენშევიკ-ესერ-კადეტების ბატონობის დროს, ჯარისკაცების მასიური განწყობილება ომის წინააღმდეგ, არ იქნა მათ მიერ მხედველობაში მიღებული და პირიქით—იმპერიალისტების კარნახით განაგრძობდენ შეტევითი პოლიტიკას.

ამ რევოლიუციონურ განწყობილების ხანაში კიდევაც მოხდა ოქტომბრის გადატრიალება, რაშიც, მუშებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო ძველი ჯარის შემადგენლობამაც.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, თუ როგორი პირობები იყო შექმნილი ჯარის შემადგენლობაში. დაახლოვებით ოთხი წლის განმავლობაში იცლებოდენ სისხლიდან მუშები და გლეხები სხვა და სხვა ფრონტებზე. ათასგვარ გაჭირვებაში გამოვლილი ჯარისკაცები იჩქაროდენ სახლისაკენ, სადაც უკვე ინაწილებდენ მემამულეებისაგან ჩამორთმეულ მიწებს.

ამავე დროს პარტიას მხედველობაში ჰქონდა ის რომ ოქტომბრის გადატრიალების და ძალა-უფლების გამტკიცებისათვის არ გამოდგებოდა ის ჯარი, რომელიც გაწვრთნილი იყო თვითმპყრობელი ოფიცრობის საშვალებით. ოქტომბრის მონაპოვარის გამტკიცებას და მის დაცვას შინაგან კონტრ-რევოლიუციისგან და გარეშე მტრისგან სჭირდებოდა სულ სხვა სახის ჩამოყალიბებული სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც მართლაც გაამაგრებდა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და დაიცავდა მას მტრებისაგან.

ძველი ჯარის შემადგენლობა უკვე აღარ არსებობდა. მხოლოთ აქა-იქ დარჩა ნებაყოფლობითი ბოლშევიკური ჯარის ნაწილები, რომლებიც რევოლიუციონურ მატროსებთან ერთად იცავდენ ხელისუფლებას.

ამ ხანებში პარტია თავისი მხრით იარაღდებოდა და წვრთნიდა მუშათა კლასისგან გამოსულ წითელ რაზმებს, რომლებიც დარჩენილ ჯარებთან ერთად იბრძოდენ სამოქალაქო ომის ფრონტებზედ.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებას მრავალი მტერი გაუჩნდა: ერთის მხრით საკუთარი (შინაური) მემამულეები, ბურჟუა-კაპიტალისტები და ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები, მეორე მხრით დასავლეთის იმპერიალისტები, რომლებიც როგორც ფულით და იარაღით, აგრეთვე ცოცხალი ძალებითაც, ებრძოდენ საბჭოთა ხელისუფლებას.

ყველა აღნიშნული მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად და მათი სამუდამოდ დასამარცხებლად საჭირო შეიქნა კომუნისტურ პარტიას მიეღო ზომები, სამხედრო შეიარაღებული ძალების შესაქმნელად წითელი არმიის სახით.

წითელი არმიის დაარსების პირველი დეკრეტი იქნა ხელმოწერილი **ამხ.** ლენინის მიერ 1918 წლის 23 თებერვალს ამ დღიდან ეყრება საძირკველი წ. არმიის არსებობას, რომლის რიგები ივსება მუშურ-გლეხური ელემენტებისაგან.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნილ წ. არმიამ დღიდან თავის არსებობისა, ბევრი დაბრკოლებები გადალახა. მას წილად ხვდა მიეღო მონაწილეობა სამოქალაქო ომების სხვა და სხვა ფრონტებზე, სადაც მუშურ-გლეხური მთავრობის დავალებები პირნათლად შეასრულა და ყველა ფრონტზე გამარჯვებული გამოვიდა.

ამას გარდა კომუნისტური პარტიის მოთხოვნილება წ. არმიისაგან მარტო იმით არ ამოიწურება, რომ მან დაიცვას მარტო საკუთარი ტერიტორიის საზღვრები, არამედ ჩვენი წ. ჯარის მოვალეობაა გაანთავისუფლოს ყველა მშრომელები კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობისაგან და ქვეყნად განამტკიცოს მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

აი ის დიდი მოვალეობა, რომელსაც აკისრებს მას კომუნისტური პარტია.

დღეს სრულდება რვა წელი წ. არმიის დაარსების დღიდან. ამ ხნის განმავლობაში წ. არმიის შემადგენლობა ყოველ დღიურათ ამტკიცებს და ამაგრებს თავის რიგებს, როგორც ტეხნიკურათ, აგრეთვე პოლიტიკურათ. დღეს ჩვენი წითელი არმია დღესასწაულობს თავის არსებობის რვა წელს, ჩვენც მათთან ერთად ვზეიმობთ და ვიხსენებთ დიად ისტორიულ განვლილ ხანას, სადაც გამოიჭედა და შეიქმნა მტრისგან უძლეველი, მაგარი ნებისყოფის წითელი არმია, რომლის მიზანია მომავალი საერთაშორისო რევოლიუციისათვის ბრძოლა და მსოფლიო მუშათა კლასის მტრების დამარცხება.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წ. არმიას.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციაში წ. არმიის როლს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

ხ. ლომიძე.

# ᲠᲕᲐ ᲬᲔᲚᲘ.

მუშურ-გლეხური წითელი არმია დღესასწაულობს თავის არსებობის 8 წლის თავს.

სულ რაღაც 8 წელი, მაგრამ ესოდენ მდიდარი შინაარსით!

წლები სისხლიანი ბრძოლისა, ხოლო შემდეგ—მშვიდობიანი წვრთნებისა და მომავალ გამარჯვებისთვის მზადების წლები—აი ორი საფეხური, რომლზედაც იყოფა ეს 8 წელი.

ბრძოლების ქარტეხილში გამობრძმედილი და გაძლიერებული წითელი არმია დღეს სწავლობს ყაზარმასა და სკოლაში და ამრიგად ყოველ წლობით ის ადის თავის ძლიერების უმაღლეს საფეხურზე.

წარსული წელი განსაკუთრებით დამახასიათებელი ია ამ მხრივ. მთელი ჩვენი ყურადღების ცენტრში წინამდებურად რჩება ტერიტორიალურ აღმშენებლობის საქმე და ჯარის გარეშე წესით მომზადება, განსაკუთრებით აქ, ამიერ-კავკასიაში, სადაც ეს საქმე ჯერ კიდევ ახალია და, სადაც პირველი წარმატებები ჩვენ გვაქვს მხოლოდ წარსულ წელში.

ტერსისტემამ და ჯარის გარეშემო მზადებამ დაუახლოვა საბრძოლო მომზადების საქმე ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართე მასებს, მაგრამ შემდეგ წარმატებებს ჩვენ მივაღწევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ მუშებისა და გლეხების ფართე მასები მარ[...]აც გაიმსჭვალებიან იმ აზ[...]თ, რომ ქვეყნის თავდაცვისთვის ზრუნვა არის არა მარტო წითელი არმიის, არამედ თვითეული მოქალაქის საქმეც, რომ წითელი არმია—ეს არის მხოლოდ კადრი, რომელმაც საჭირო დროს უნდა შეიყვანოს თავის რიგებში მუშებისა და გლეხების ფართე მასები, რომლებსაც დასრულებულ ექნება სამხედრო სწავლების განსაზღვრული კურსი.

ამიტომ მე-9 წელმა მთელი თავისი ენერგიით უნდა განავითაროს სამხედრო პროპაგანდა, ფართედ დააყენოს საკითხი ჩვენი კავშირის მშრომელთა სამხედრო მომზადების შესახებ. ამ დიდი საკითხის გადაჭრა არ შეუძლია მარტო არმიის ორგანიზაციას. ეს არის საქმე ყველა ჩვენი ორგანიზაციების, ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრივობის.

ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს თადარიგში განთავისუფლებულ წითელ არმიელმა და თადარიგის მეთაურმა. სოფლად გაშვებული წითელი არმიელი უნდა იყოს არა მარტო კანდიდატი სოფლის საბჭოს თავმჯდომარეობაზე, არა მარტო მოწინავე გლეხი, არამედ სამხედრო მომუშავე—ორგანიზატორიც.

იმ საკითხებიდან, რომლებიც სდგებიან ჩვენს წინაშე წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის განმტკიცების ამოცანებთან დაკავშირებით, მეტად მწვავედ სდგას საკითხი თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის შესახებ. არმიის არსებობის მეცხრე წელმა ეს საკითხი უნდა გადასჭრას. მეტი ყურადღება და მზრუნველობა თადარიგის მეთაურს, მეტი ყურადღება მის მომზადებას და მოსახლეობის გასამხედროების საქმეში მიზიდვას.

გასამხედროების ამოცანას უერთდება მრეწველობის მომზადება თავდაცვის საჭიროებისათვის. აქ სდგება სამრეწველოების გასამხედროების საკითხიც.

ამრიგად გასამხედროების ამოცანები ფართედ უნდა იქნას გადაჭრილი მთელს ქვეყანაში.

სამხედრო საშიშროების ზრდა,— ზრდა სამხედრო ტეხნიკისა კაპიტალისტურ ქვეყნებში და განსაკუთრებით წინაღმდეგობათა გამწვავება—ყველაფერი ეს მოითხოვს ჩვენი წითელი არმიის გაძლიერებას და მთელი ქვეყნის მომზადებას ისე, რომ მას შეეძლოს საჭირო დროს იარაღით ხელში შეხვდეს მტერს.

დიე, წითელი არმიის წარსული ბრძოლები და წარმატებითი სწავლების წლები გახდენ თავდები იმის, რომ სოციალისტური რესპუბლიკის დიდი სიმაგრე—საბჭოთა კავშირი—ძლიერი და მიუდგომელია.

რატნერი.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲬᲘᲗ. ᲐᲠᲛᲘᲘᲡ 8 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

## ᲐᲠ ᲣᲦᲐᲚᲐᲢᲔᲑᲗ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲔᲑᲡ.

წითელმა არმიამ მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა დაიწერა თავის დროშაზე და ამისთვის ერთ წუთს არ უღალატნია მას. დაარსების დღიდან, ბრძოლის ალმურში გაატარა მან ეს დროშა და გამარჯვებით მოიტანა 8 წლის თავზე, რომლიდანაც უფრო გასალკდევებული და მხნეთ შეუდგებით დიდი ბელადის—ლენინის ანდერძების განხორციელებისათვის ბრძოლას. თავისი არსებობის განმავლობაში წითელმა არმიამ დაუმტკიცა მთელი მსოფლიოს მშრომელებს თავისი ერთგულობა.

დღეს, თავისი ბრწყინვალე გამარჯვების და მიღწევების შემდეგ მუშაობის ყველა ფრონტებზე, წითელი არმია ერთხელ კიდევ მისცემს ფიცს მსოფლიო პროლეტარიატს, რომ ის ძირს არ დახრის მშრომელთა განთავისუფლებისა და სოციალიზმის წმინდა დროშას და ყოველთვის იქნება მისი საიმედო მეგობარი მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ასეთივე რწმენით ვიმსჭვალებით დღეს წითელი არმიის რიგების ყველა მებრძოლები და ჩვენც შევსძახებთ:

გაუმარჯოს წითელი არმიის რვა წლის თავს, გაუმარჯოს მის მომავალ მუშაობას და ამ მუშაობის ხელმძღვანელებს—წითელი არმიის ბელადებს.

სამხკორი მ. ოდიშარია.

## 8 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ.

დღეს მე-8-ვე წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ჩვენი წით. არმია და საფუძველი ჩაეყარა მის გამტკიცებას. წითელი არმია პროლეტარიატის უძლიერესი ძალაა, რომელიც მტკიცედ სდგას მშრომელი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე. უძლიერესია იმიტომ, რომ ჩვენი არმია არ არის ჭრელი, მის რიგებში თავშეყრილია ისეთი ხალხი, რომლებიც იბრძვიან ერთიანი ინტერესებისათვის. ეს არის მისი ძირითადი განსხვავება სხვა არმიებისაგან.

ის კლასიურია, ერთი საერთო დიდი მიზნის განხორციელებისათვის კირწყალში შედუღებული და ჩამოსხმული.

ის ყველა არმიებზე უფრო მშვიდობის მოყვარულიცაა, მაგრამ იმპერიალისტები ჩვენ არ გვაძლევენ მოსვენებას და იმის ცდაში არიან თუ როგორ გალესონ ჩვენზედ მახვილი. ამ მტქარას წითელი არმია, როგორც ყოველთვის, თავის რიგების კიდევ უფრო შემჭიდროებით უპასუხებს.

ჩვენ, წითელ არმიის რიგებში მომუშავე ამხანაგები, ფიცსა ვსდებთ, რომ მედგრად ვიქნებით ჩვენს სადარაჯოზე და ხელს შეუწყობთ წითელი ჯარის აღზრდა-განვითარებას და მისი განმტკიცების საქმეს.

**საუკუნო ხსოვნა წით. არმიის რიგებიდან გამოკლებულ გმირებს!**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სალ კლდეს—წითელ არმიას, რომელიც თავისუფლათ დღესასწაულობს დღეს თავისი არსებობის რვა წლის თავს.

კურსანტი მიშა ცქიფურიშვილი.

## ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲗᲐᲕᲓᲔᲑᲘᲐ.

2 რე ლეგიონი.

საბჭოთა კავშირის მშრომელები ყოველწლიურად იგონებენ და დღესასწაულობენ სამოქალაქო ომის ამ პირმშოშვილის დაარსების დღეს, რომელმაც თავისი სიძლიერითა და სიმხნევით შესძლო მთელი ხროვა ძველი ოფიცრებისა და გენერლების დამარცხება.

წითელმა არმიამ დიდი სახელი დაიმსახურა მშრომელთა კეთილდღეობისათვის ბრძოლით და მომავალშიც მთელი მსოფლიო ჩაგრულები მასზე ამყარებენ თავის მომავალ გამარჯვებას.

8 წლის თავზე სამხედრო საქმის, კულტურულად ამაღლებისა და თავისი მიზანის შეგნებულად მისწრაფებაში იმდენი მიღწევები აქვს წითელ-არმიას, რომ მას თამამად შეუძლია შესაფერი პასუხი გასცეს მშრომელების მტრებს,—ყველა მყვლეფელებს.

ამიტომ არის, რომ თვითეული ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი ვალდებულად ხდის თავს იმსახუროს მის რიგებში, მიიღოს სამხედრო გამოცდილება, შესაფერი გაწვრთნა თავისი მტრების ჯეროვანი პასუხის გასაცემად.

ჩვენ ვამაგრებთ ჩვენს რიგებს, სამხედრო, კულტურული და პოლიტიკური მომზადებით. ჩვენ ვემზადებით მომავალი ბრძოლებისათვის, ჩვენ ვემზადებით შრომის სუფევის დასამყარებლად და ამ ბრძოლაში წინ გვიძღვის პროლეტარული რევოლიუციის სულის ჩამდგმელის, დიდი ბელადის—ლენინის საქმიანობა.

8 წლის თავზე, ჩვენ კიდევ ერთხელ ვსდებთ მხედრულ ფიცს, რომ შეუდრეკლად ვიბრძოლებთ მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლებისათვის კაპიტალის მძიმე უღლისაგან.

გაუმარჯოს მშრომელ ხალხის საამაყო წითელ არმიას! გაუმარჯოს ჩვენი რიგების სიმტკიცეს მომავალი ბრძოლებისათვის.

სამხკორი ვ. ლ.

**ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ, ᲐᲠᲛᲘᲐ ᲧᲐᲖᲐᲠᲛᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲑᲕᲘᲡᲐ, ᲯᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ—ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲓᲐ. ᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲡᲮᲕᲠᲔᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲥᲕᲐ ᲥᲕᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ.**

ᲚᲔᲜᲘᲜᲘ.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ.

2-ე ლეგიონის 9-ე ასეული.

ასეულში სისტემატიურად ტარდება მეცადინეობა სროლის შესწავლის საქმეში. წითელ არმიელების დაინტერესებას ამ საქმეში კიდევ უწყობს ხელს ის გარემოება, რომ ხელმძღვანელებათ დანიშნული გვყავს საუკეთესო მსროლელები.

უკვე მრავალი წითელ არმიელები გაიწვრთნენ და დახელოვნდენ სროლაში. მალე იქამდეც მივაღწევთ, რომ ჩვენს ხელმძღვანელებსაც აღარ ჩამოუვარდებით.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სროლაში კარგად დახელოვნებით, დავსძლევთ მტრებს.

სროლის კარგად შესწავლა ამ ჟამად ჩვენი უპირველესი ამოცანაა.

სამხკორი ი. პატაშური.

# ᲬᲘᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ.

რვა წელი თითქოს ცოტაა; მაგრამ ამ რვა წლის განმავლობაში დაიბადა, გაიზარდა და გამაგრდა მშრომელთა პირველი კლასიური შეიარაღებული ძალა—წითელი არმია.

გამხეცებულ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში დაბადებულ წითელი გვარდიის რაზმებიდან, სამოქალაქო ომების ქარტეხილში მშრომელთა ჯარმა საპატიოთ ასწია წითელი დროშა.

ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე, მსოფლიო იმპერიალიზმი, სამშობლო ბურჟუაზიის უშალო და აქტიური მონაწილეობით, გამოილაშქრა ქვეყნის წინააღმდეგ სადაც ხელისუფლების სათავეში ჩადგენ მუშა და გლეხი.

მიუხედავად დაღლილობისა ყოველგვარი გაჭირვების, შიმ[...]ისა და ულმობელ ბრძო[...]ს საშინელებისა შეიარაღებულ მუშებმა და გლეხებმა იხსნეს თავიანთი საბჭოთა რესპუბლიკა, იმპერიალისტების სისხლში ამოვლებულ ბრჭყალებისაგან.

მტრებს დიდი ხნით წაერთვათ ბრძოლის ხალისი, მონობის ჯაჭვებდაწყვეტილ მშრომელ ხალხთან.

დიდი ხნით, მაგრამ არა სამუდამოთ.

განა შეუძლიან დინჯათ ეძინოს ბურჟუას, როდესაც დედამიწის ერთმეექვსედზე ფრიალებს წითელი დროშა, შეღებილი მუშებისა და გლეხების სისხლით?

რას ამტკიცებენ შეიარაღებები იმპერიალისტური სახელმწიფოებისა.

ამტკიცებს იმას, რომ იმპერიალისტებს სურთ არა მარტო თავის პრივილეგიების დაცვა და გამაგრება, არამედ უპირველესათ ის, რომ მათ სურთ ჩვენი საბჭოთა კავშირის განადგურება და დამარცხება. მათ კარგად ესმით ის, რომ ჩვენი კავშირის ყოველწლიურათ გამაგრება დიდი საფრთხეა მათთვის და ამიტომ ყოველი ძალღონეს ხმარობენ ჩვენი განიარაღებისათვის და ჩვენი ეკონომიურად შერყევისა და დამარცხებისათვის.

მაგრამ რა ზომებს ხმარობს საბჭოთა კავშირი ყველა ასეთი ცდების თავიდან—ასაშორებლად?

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი სიმძლავრის ზრდა ეს არის მსოფლიო და, პირველ რიგში ევროპის, იმპერიალიზმის დაღუპვის მოახლოება. ჩვენზე არა ნაკლებ ეს იციან ჩვენმა მტრებმაც.

თავისდაცვასთან ერთად ჩვენი კავშირი მიისწრაფის მსოფლიო რევოლიუციის მოხდენისაკენაც. არც ესაა მაინც და მაინც დიდი საიდუმლოება ჩვენი მტრებისათვის.

აქ ჩვენს წინაშე სდგება ასეთი ამოცანა—როგორ მოვიქცეთ? შეიარაღება მშრომელთა ხარჯზე ისე, როგორც ამას შვრებიან იმპერიალისტები ყველა ქვეყნისა, ჩვენ არ შეგვიძლიან. პროლეტარიატმა და გლეხობამ იმიტომ კი არ მოახდინეს რევოლიუცია, რომ უფრო დაიმძიმონ მატერიალური მდგომარეობა.

ეს გზა—მშრომელთა მოსახლეობის გასამხედროებაა. ჩვენი ჯარი მძლავრია არა თავისი რიცხვით, არამედ თვისებით, მორალური მდგომარეობით და მტკიცე დისციპლინით.

და მართლაც ეყრდნობოდა რა მასების ასეთ მორალურ სიძლიერეს კომუნისტური პარტია ლენინის მიერ მოცემულ იარაღის საშვალებით, მუდამ პოულობდა გამოსავალს გაჭირვებულ მდგომარეობიდან. ამას ამტკიცებს, თუ გნებავთ, საბჭოთა კავშირის მთელი რიგი გამარჯვებებისა ეკონომიურ ფრონტზე. ხოლო ჩვენი კავშირის დაცვისათვის არჩეულმა გზამ, რომელიც არჩეულია კომუნისტური პარტიის მიერ, უნდა წაგვიყვანოს კავშირის მშრომელთა მასის გასამხედროებისაკენ.

წითელი არმია აშენებულია და შენდება პრინციპებზე, რომლებიც ჯერ არ უნახავს კაცობრიობას. წითელი ჯარის თვითეული მეომარი სრული შეგნებული მოქალაქეა თავისი რესპუბლიკისა. მაგრამ თანამედროვე ქვეყნის პირობებში ეს არ არის საკმარისი. საჭიროა, რომ თვითეული შეგნებული მოქალაქე, თვითეული მშრომელი, გახდეს საუკეთესო მეომრათაც.

მშრომელთა მოსახლეობა უნდა მოემზადოს მტრის სათანადოთ დასახვედრათ, ამისთვის კი საჭიროა სამხედრო მომზადება, რომლის უქონლობის გამო, ქვეყნის დაცვაში მონაწილეობის მიღება, არავითარ სასარგებლო შედეგს არ მოუტანს.

ტერიტორიალური სისტემის პრინციპების განხორციელებას, მშრომელთა მასის და სამოქალაქო ორგანიზაციის ცოცხალი დახმარება უნდა შეხვდეს.

სამხედრო კუთხეები, რომლების საშვალებით მშრომელნი მიიღებენ სამხედრო საქმის ცოდნას, გაფანტული უნდა იქნენ მთელ ტერიტორიაზე ჩვენი კავშირისა.

არ უნდა იყოს, არც ერთი კლუბი, არც ერთი ქარხანა, არც ერთი სოფელი, რომელშიც არ იქნება სამხედრო კუთხე.

პირველ ნაბიჯს ამ საქმეში სდგამენ სამხედრო ნაწილები, მაგრამ საქმის გასავითარებლათ საჭიროა სამოქალაქო ორგანიზაციების აქტიური დახმარება, მონაწილეობა.

აქა-იქ უკვე არიან ჩამოყალიბებული სამხედრო კუთხეები, მათი რაოდენობა განსაზღვრულია, მუშაობა მათში ზოგადათ მოიკოჭლებს.

ვატარებთ რა ცხოვრებაში ტერიტორიალური სისტემის პრინციპებს, ვეწევით რა სამხედრო კუთხეების ორგანიზაციას და ერთდროულად ვაღრმავებთ რა მათში მუშაობას მშრომელთა გასამხედროებისათვის, წითელ არმიის არსებობის მერვე წელზე, ჩვენ საერთო დახმარებით გადავშლით ახალ ფურცელს ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ისტორიაში.

გაუმარჯოს მშრომელთა წითელ არმიას!

მ. შუღუნავა.

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ
## ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚ-ᲓᲠᲝᲨᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ.
## № 42

ქ. ტფილისი. 1926 წ. 23 თებერვალი

დღეს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი დღესასწაულობს მუშურ-გლეხური წითელი არმიის არსებობის 8 წლის თავს.

წითელი არმია შექმნა ჩვენი ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა საპასუხოდ რუსეთის თეთრგვარდიელებისა და უცხოელ იმპერიალისტების, რომელთა სურვილი იყო იარაღით გაენადგურებიათ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა.

გმირულ ბრძოლებში უამრავ ძვირფას მსხვერპლის გაღებით წითელმა არმიამ იგემა დიადი გამარჯვება კაცობრიობის ისტორიაში. მშრომელთა თავისუფლებისთვის ბრძოლებში გმირულად დაღუპულთა ხსოვნა საუკუნოდ დარჩება ჩვენი მუშურ-გლეხური მასების ხსოვნაში. ძველი მეომრები სიამაყით მოიგონებენ სამოქალაქო ომის მძიმე და იმავ დროს დიად, სახელოვან დღეებს. ახალგაზრდა წითელი არმიელებმა სიყვარულითა და ყურადღებით უნდა შეისწავლონ ეს წლები.

დაიცვა რა მუშურ-გლეხური ქვეყნის უფლებები მშვიდობიან შრომისთვის, წითელი არმია რჩება კიდევ უფრო ძლიერ საბრძოლო ძალად.

ჩვენ განვაგრძობთ ლენინის დიად საქმეს. ძლიერდება კავშირი და იზრდება მუშებისა და გლეხების მეურნეობა. ძლიერდება ძმურ კავშირში სოციალისტურ საბჭოთა კავშირის ყველა ერები. ჩვენი ქვეყანა მიდის სოციალიზმის გზაზე.

კაპიტალისტური ქვეყნები შეუსვენებლივ აძლიერებენ ფარულ აგიტაციას, როგორც ახალ იმპერიალისტურ ომისთვის, ისე საბჭოთა კავშირზე გასალაშქრებლად.

ჩვენ მშვიდობიანობის მომხრე ვართ. მაგრამ იმავ დროს ჩვენ მზად ვართ სასტიკი პასუხი გავსცეთ კაპიტალიზმის შემოტევას. გასულ წელში წითელმა არმიამ, განსვენებულ ფრუნზეს გამოცდილ ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწია. მაღლდება ტეხნიკა, ძლიერდება დისციპლინა, უმჯობესდება სამხედრო და პოლიტიკური სწავლება. ძლიერდებიან ნორჩი ტერიტორიალური ნაწილები. იქმნებიან და იზრდებიან ეროვნული ნაწილები.

მე-8 წლის თავს წითელი არმია ხვდება უფრო ღონიერი, ძლიერი და ბრძოლის უნარიანი. მომავალ მე-9 წელში ჩვენ განვამტკიცებთ ჩვენს მიღწევებს. მე-9 წლის ერთი უმთავრეს ამოცანათაგანი—ეს არის მშრომელთა შემდეგი მიზიდვა საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების საქმეში.

გაუმარჯოს ძლევამოსილ სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს რევოლიუციონურ ბრძოლას აღმოსავლეთის ქვეყნის ხალხთა კოლონიალურ უღლისგან განთავისუფლებისთვის!

მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოს მშრომელებს, რომლებიც დღესასწაულობენ მემამულეების, კაპიტალისტებისა და მათ დამქაშ მენშევიკების მძიმე უღლისაგან განთავისუფლების 5 წლის თავს!

დეე, განმტკიცდეს და განვითარდეს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების დიადი თავისუფალი კავშირი!

გაუმარჯოს ჩვენს ძლიერს, მებრძოლ ხელმძღვანელს—საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბ) და მის რეზერვს—ლენინურ ახკომკავშირს!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

არმიის სარდალი **ლევანდოვსკი.**

რევსამხსაბჭოს წევრები: **ზალუცკი, ელიავა, რატნეკი.**

---

**ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲛᲘᲐᲥᲕᲗ ᲗᲐᲜ ᲐᲠᲐ ᲙᲐᲖᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ ᲩᲐᲒᲠᲣᲚᲗᲐ ᲒᲐᲡᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲚᲐᲓ.**

ᲚᲔᲜᲘᲜᲘ.

---

## ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ.

3-მე ლეგიონი.

საბჭოთა საქართველოს ხუთი წლისთავისა და წითელი არმიის 8 წლისთავის ჩასატარებლად კარგა ხანია შესაფერი სამზადისი დაიწყო ლეგიონში. გამოფენილი იქნა სადღესასწაულო ხასიათის ლოზუნგები და წიგნები. არც ერთი აქტიური წევრი არ არის დარჩენილი ლეგიონში, რომ დავალებული არ ჰქონდეს რაიმე დღესასწაულის შეხვედრისათვის მიმდინარე მუშაობაში. ყველა ამხანაგები ხალისით ეკიდებიან ამ საქმეს. ყოველ-საღამოობით მიმდინარეობს ხმამაღალი კითხვა ასეულებში. წითელ-არმიელთა ფართო მასას ეცნობა მათი მნიშვნელობა და სხვა. მთელი ლეგიონი გაცხოველებით ემზადება. წითელ არმიელები გულმოდგინეთ ისმენენ პოლიტსაათებს და წითელი არმიის ისტორიის შესახებ საუბრებს.

სამხკორი **ბ. იოსელიანი.**

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲡ.

(1-ლი არტ-ლეგიონი.)

ლეგიონის მე-2 ბატარეიაში ამ უკანასკნელ დროს სერიოზული ყურადღება ექცევა ლენ-კუთხეში მუშაობას.

ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ბირთვები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ სპეციალურად ამისთვის გამოყოფილი წითელ არმიელები.

ჯერ-ჯერობით ბირთვებს შორის სისტემატიურ მუშაობას აწარმოებენ საუბრის ჩამტარებელთა, ხმამაღალ მკითხველთა, მომღერალთა, სამხკორთა და მესაკრავეთა ბირთვები. ლენკუთხეში განაკილებულია ბირთვების მეცადინეობის დრო.

დღეს მათი მუშაობის მორიგი ამოცანაა, მომავალი დღესასწაულისათვის სამზადისი. ყველა ბირთვის წევრები დაინტერესებული არიან რაც შეიძლება მომზადებული შეხვდენ საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავს და წ. არმიის დაარსების რვა წლის თავს.

ბირთვებისათვის გამოყოფილია სათანადო სახელმძღვანელო მასალა, რაც კი მოიპოვება ჩვენი ლეგიონის სამკითხველოში და აწარმოებენ გაცხოველებულ მუშაობას.

შეუდექით ლენკუთხის გადახალისებას დღესასწაულისათვის შესაფერისი ლოზუნგებით და პლაკატებით, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა ბატარეიის მთელი შემადგენლობა.

დღესასწაულის აღსანიშნავად ბატარეია უშვებს სპეციალურ კედლის გაზეთს სახელწოდებით: „საველე ქვემეხი“.

სამხკორი **ხონელი,**

---

**ᲬᲕᲔᲕᲐᲛᲓᲔᲚᲔᲑᲝ! ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲗ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲧᲝᲤᲐ-ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.**

---

## ᲒᲕᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲜ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ.

3 მე ლეგიონი.

17 თებერვალს ლეგიონს ესტუმრენ ჩვენი შეფის სტამბის პიონერები ნაწილის დასათვალიერებლად და ჩვენი ცხოვრების გასაცნობათ.

პირველად პატარა სტუმრებმა ინახულეს ლეგიონის კლუბი, დაათვალიერეს დაწვრილებით და განცვიფრებული დარჩენ სანახაობით. ინახულეს აგრეთვე ჭადრაკის და სხვა გასართობების დარბაზი, ბიბლიოთეკა. დიდი ინტერესით ათვალიერებდენ პლაკატებსა და ლოზუნგებს და გამოფენილ წიგნებს. დიდხანს შეჩერდენ ლენინის კუთხეში, სადაც ჩაიწერეს იქ გამოფენილი წიგნების სათაურები, რომ შემდეგში წაეღოთ წასაკითხად.

საერთოდ პატარებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენმა ცხოვრებამ. „ჩვენც უნდა გავხდეთ ჩქარა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დამცველი მხედრებიო“ გაიძახოდენ ისინი.

სამხკორი **ბ. იოსელიანი.**

## ᲩᲕᲔᲜᲪ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ.

სამხედრო პოლიტსკოლა.

აღნიშნული სკოლის წითელ არმიელებს არ გვიკითხავენ პოლიტსაათს. მართალია გვპირდებიან, დაიწყებენ ხანდახან, მგრამ უცაბთ მიგვატოვებენ და ისე გავა მთელი თვე, რომ ამაზე არავინ ზრუნავს.

ერთხანს სამოსწავლო ნაწილის უფროსმა მხედველობაში მიიღო ჩვენი ასეთი მდგომარეობა და დაგვინიშნა პოლიტხელი ჰელიძე, მაგრამ ბევრი საქმეებით იყო ეს ამხანაგი დატვირთული და ჩქარა მოხსნეს.

მას შემდეგ მიტოვებული ვართ. ყურადღებას არავინ გვაქცევს.

ჩვენც მოგვეცით საშუალება შევისწავლოთ რამე და უცოდინარები არ დაუბრუნდეთ ჩვენს სოფელს.

წ. არმ. **მართალი.**

## ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲓᲣᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ.

6-ხე ლეგიონი.

კარგა ხანია რაც ნაწილის წითელ არმიელებს აღარ გვაძლევენ გადადუღებულ წყალს, რის გამო ლეგიონში განსაკუთრებით თავი იჩინა წითელ არმიელებში მუცლის ტკივილმა. ასეთი მდგომარეობა ხელს შეუწყობს ყაზარმაში სხვა ავადმყოფობის გაჩენასაც, თუ თავის დროზე არ იქნა მიღებული საჭირო ზომები.

დროა ყურადღებას მიაქცევდეს ამას ჩვენი ექიმი და გასცემდეს საჭირო განკარგულებას.

სამხკორი **ნინუაკუთხელი.**

---

**ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲓᲐᲣᲫᲚᲔᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ.**

ᲚᲔᲜᲘᲜᲘ.

---

## პასუხი შეკითხვებზე.

**ხმორპირელს.** რომ სამსახურიდან გაანთავისუფლონ წ. არმიელი, ფეხი მას უნდა ქონდეს მოკლე არა ნაკლებ ოთხი სანტიმეტრისა (რევსამხსაბჭოს ბრძანება № 755, § 85.)

**ფერაძეს.** თითეულ კვადრატიულ არშინზე თქვენ ბინისქირად უნდა იხადოთ ორი კაპეიკი, საერთო ჯამს უნდა მოაკლოთ 25 პროც., როგორც სამხედრო მსახური. (დადგენილება ტფ. აღმასკომისა 1 მარტიდან 1925 წ.)

**ძაგნიძეს.** ზედმეტ მსახურმა უმცროს მეთაურმა უნდა იმსახუროს ერთი წელიწადი, შემდეგ შეუძლია უვადო შვებულებაში წასვლა.

**უმცროს მეთაურს.** თუ ზედმეტი მსახური ხართ გერგებათ საათების ფული.

**ხელთუბნელს.** თქვენი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით თქვენ პირველ ხარისხის შეღავათებზე უფლება არ გაქვთ. (ბრ. № 765—25 წ.)

**გ—იას.** ტერნაწილში გადასვლა არ შეგიძლიათ.

**გ—ძეს.** მიმართეთ მაზრის პროკურორს.

**ბათუმელს.** ხელშეკრულება უნდა ვნახოთ, რომ გიპასუხოთ თქვენს შეკითხვაზე. გამოგვიგზავნეთ.

**ნათროშვილს.** თუ ნაწილს აქვს ვადა გასული მაზარა უნდა მოგეცეთ.

**ჩიქველს.** 1925—26 წ. სარგებლობთ შეღავათებით ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დროს, რაიც გათვალისწინებულია საგადასახადო დებულების მუხ. 34—ში.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

ამხ. **სინათლეს** (ცხენ. ლეგ.) კორესპონდენცია 3-მე უჯრედის შესახებ სუსტია. საჭიროა სწეროთ თუ რა კეთდება კრებებზე არსებითად.

ამხ. **მარტვილელს** (ცხენ. ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „მოაგვარეთ ეს საკითხი,“ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

ამხ. **დ. ჭანკვეტაძეს** (6-ხე ლეგ.) თქვენი წერილი ამხ. ორბელიანის გარდაცვალების წლის თავის შესახებ მივიღეთ 19 თებერვალს, ძლიერ დაგვიანებით.

ამხ. **ლომისკარელს** (1-ლი ლეგ.) თქვენი კორესპონდენციაში აღნიშნულის შესახებ მიმართეთ ლეგიონის მნეკო.

ამხ. **კვარაცხელიას** (2-რე ლეგ.) თქვენი წერილი „ჩვენი მუშაობა“ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში. მოიწერეთ ხშირად ბატარეიის შესახებ.

ამხ. **სურღულაშვილს,** (სამხ. მეთაურთა სკოლა.) თქვენი კორესპონდენცია გადაეცით კედლის გაზეთის რედკოლეგიას.

ამხ. **ქლიბს** (3-მე ლეგ.) ლეგიონის ცხოვრების შესახებ თქვენი კორესპონდენცია არ დაიბეჭდება. საჭიროა კონკრეტიული მაგალითების დასახელება.

ამხ. **ცხენისწყლისპირელს** (6 ხე ლეგიონი.) თქვენი წერილი „ადგილი არ უნდა ქონდეს წითელ ჯარში“ გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ქ. მ. დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიის წევრებად დამტკიცების შესახებ შემდეგ პარტიის კანდიდატ ამხანაგებს: 1. დიმიტრი გიორგის-ძე ქლენტს და 2. დარჩია ესე დიმიტრეს ძეს.

კომუჯრედი სთხოვს ყველას, ვისაც რაიმე საწინააღმდეგო აქვთ ზემოაღნიშნულ ამხანაგების შესახებ უარყოფითი აცნობონ მას ერთი კვირის განმავლობაში.

ცალკე საკავშირო ასეულის **კომუჯრედი.**

1-ლ ქარ. მსრ. ლეგიონის მე-5-თე ასეულის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის—კანდიდატათ მიღების შესახებ ამხ. ვასილი დიმიტრისძე ოქრუაშვილს (ა. ლ. კ. კ. წევრი 1925 წლიდან, დაბადებული 1902წ. მცხოვრები ქალ. თბილისში). გთხოვთ თუ ვინმემ იცით რაიმე უარყოფითი ამხ. პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ზემო აღნიშნული მისამართით, წერილობით ან სიტყვიერათ დღეის რიცხვიდან 28 თებერვლამდე 1-ლი ლეგ. მე-5-თე ასეულის კომ უჯრედს პ. მ. მ. ოქრიბელაშვილი.

---

2-ე ქართ. დივიზიის 2-ე არტლეგიონის ქალ. თბილისში მცხოვრებ ყველა ცვალებად წითელ არმიელების საყურადღებოთ ცხადდება, რომ მათ ევალებათ გამოცხადდენ [illegible] თებერვალს დილის 8 საათზე, ორთაჭალაში 2-ე არტლეგიონის შენობაში, ტყავტრესტის პირდაპირ.

ლეგ. უფროსი **ანთაძე.**

სამხკომი **ბარამიძე.**